ხელშეკრულება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა

და

კავშირ "დოსტაქარს"

შორის

ს.ს "საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების 100%-ის მართვის უფლების გადაცემის თაობაზე

ქ. თბილისი
2007 წ.

წინამდებარე აქციების მართვის ხელშეკრულება (შემდგომში "ხელშეკრულება") იდება ქ. თბილისში, 2007 წლის 8 ოქტომბერი

ერთის მხრივ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, (შემდგომში "შესაკუთრე"), წარმოდგენილი იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს სპეციალისტის გიორგი ქუთათელაძის სახით, რომელიც მოქმედებს 2007 წლის 08 ოქტომბრის №21/761 მინდობილობის საფუძველზე,

და

მეორეს მხრივ, კავშირი (შემდგომში "მმართველი პირი"), წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის დავით სერგეენკოს სახით, მოქმედი საზოგადოების წესდების საფუძველზე და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრირებული კავშირის "დოსტაქარის" გამგეობის 03.10.07 წლის №4 სხდომის ოქმის შესაბამისად.

ერთად წოდებულნი მხარეებად, სრული ნებაყოფლობის საფუძველზე და მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ეხელმძღვანელობთ რა "სახელმწიფო ქონებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ", საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის, საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 11 მაისის №203 ბრძანებულებით დამტკიცებული "საწარმოთა მართვის სააგენტოდან" სხვა სუბიექტებზე აქციებისა და წილების მართვის უფლებით გადაცემის წესის" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 29 აგვისტოს №467, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 20.09.07 წლის №1-1/1411 ბრძანების, საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ტერმინების განმარტება

1.1 ქვემოთ მოცემული ტერმინები წარმოადგენს წინამდებარე "ხელშეკრულების" განუყოფელ ნაწილს და შეეხება როგორც "ხელშეკრულებას", ასევე მის დანართებს:

მართვის საზღაური – ყოველწლიურად 1000 აშშ დოლარი

ხელშეკრულება - წინამდებარე ხელშეკრულება და მისი ყველა დანართი, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, მასში დროდადრო შეტანილი ნებისმიერი ცვლილებების გათვალისწინებით;

ხელშეკრულების თარიღი - თარიღი, როდესაც მხარეებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას;

ხელშეკრულების ვადა - 49 (ორმოცდაცხრა) წელი ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან;

კანონმდებლობის ცვლილება - ხელშეკრულების თარიღის შემდეგ ქართულ კანონმდებლობაში განხორციელებული ან განსახორციელებელი ნებისმიერი ცვლილება;

დღე - ნიშნავს კალენდარულ დღეებს, თუ "ხელშეკრულებით" სხვაგვარად არ არის მოხსენიებული.

დაუძლეველი ძალა და დაუძლეველი ძალის გარემოება - მოვლენები და გარემოებები, რომლებიც მოცემულია მე-7 მუხლში;

საქართველოს კანონმდებლობა - ყველა ნორმატიული სამართლებრივი აქტი, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს 1996 წლის კანონით „ნორმატიული აქტების შესახებ";

ლარი - საქართველოს ოფიციალური ვალუტა;

მმართველი პირი – კავშირი "დოსტაქარი" მისი სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე.

შეტყობინება - ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ნებისმიერი შეტყობინება თუ ცნობა;

მხარე - ხელშეკრულების მხარე, მისი უფლებამონაცვლე, ნებადართული სამართალმემკვიდრე და უფლებამოსილი წარმომადგენელი.

პირი – ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ნებისმიერი მესამე პირი, სამართალმემკვიდრე და უფლებამონაცვლე;

აშშ დოლარი - ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური ვალუტა;

წელი - კალენდარული წელი გრეგორიანული კალენდრის მიხედვით;

1.2 "ხელშეკრულების" ტექსტში მითითებული მუხლები, ქვეპუნქტები და დანართები აღნიშნავენ მუხლებს, ქვეპუნქტებს, და დანართებს, რომლებიც შეადგენენ წინამდებარე "ხელშეკრულების" განუყოფელ ნაწილს და აქვთ იგივე იურიდიული ძალა, როგორც "ხელშეკრულების" ძირითად ნაწილში მოცემულ პირობებს.

1.3 სათაურები არ ცვლიან, არ ზღუდავენ და არ ახდენენ ზეგავლენას "ხელშეკრულების" მნიშვნელობაზე.

1.4 "ხელშეკრულებაში" არსებითი სახელის მრავლობითი ფორმა გულისხმობს არსებითი სახელის მხოლობით ფორმას და პირიქით – მხოლობითი გულისხმობს მრავლობითს, თუ კონტექსტი არ გვაძლევს სხვაგვარ განმარტებას;

1.5 მუხლების დასახელებები გამოყენებულია მეტი მოხერხებულობისათვის და არავითარ ზეგავლენას არ ახდენს "ხელშეკრულების" შინაარსზე.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი.

1.1 "შესაკუთრე" მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე 49 წლის ვადით გადასცემს, ხოლო "მმართველი პირი" მართვის უფლებით იღებს .ს.ს "საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკის" (შემდგომში"საზოგადოება") სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული აქციების 100%" (შემდგომში "ქონება").

1.2. "მმართველი პირი" ვალდებულია მართოს მართვის უფლებით გადაცემული "ქონება" "შესაკუთრის" სახელით, თავისივე რისკითა და ხარჯით.

მუხლი 2. მონაცემები საზოგადოების თაობაზე.

2.1. ს.ს "საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკა" დაფუძნებულია "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე.

2.2. საზოგადოების აქციათა 100%-ის მესაკუთრეს წარმოადგენს სახელმწიფო, წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახით.

2.3. საზოგადოება რეგისტრირებულია. ქ.საჩხერეში, გომართელის ქ.№17, რეგისტრაციის №51/5-13 ს/ნ 239403463), რეგისტრაციის თარიღი 26.11.03წ.

2.4. საზოგადობის საწესდებო კაპიტალი 840540 (რვაას ორმოცი ათას ხუთასორმოცი ლარი) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% (840540 ჩვეულებრივი 1ლარიანი აქცია) (სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერის შესაბამისად.

2.5. "ქონების" მართვის უფლება "მმართველ პირზე" გადადის წინამდებარე "ხელშეკრულების" ნოტარიალური წესით დამოწმების, ძალაში შესვლის დღიდან

მუხლი 3. "მმართველი პირის" უფლება-მოვალეობანი.

3.1. "მმართველი პირი" ვალდებულია:

ა) დაიცვას, სრულად და დროულად შეასრულოს "ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებები;

ბ) ყოველწლიურად გადაიხადოს "მართვის საზღაური"- 1000 აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში

გ)შეინარჩუნოს "საზოგადოების" პროფილი;

დ)უზრუნველყოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გააუმჯობესება

ვ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს "საზოგადოების" ქონების მოვლა-პატრონობა და დაცვა.

ზ) "ხელშეკრულების" გაფორმებიდან ყოველ 6 თვეში ერთხელ მიაწოდოს ინფორმაცია "მესაკუთრეს" "ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე და წარუდგინოს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია.

თ) იმოქმედოს „საზოგადოების" წესდებისა და „საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის" შესაბამისად.

ი) ყველა ღონე იხმაროს რათა დაიცვას "მესაკუთრის" და "საზოგადოების" ინტერესები ქონებასთან მიმართებაში

კ) „მმართველი პირი" უზრუნველყოფს, რომ „ხელშეკრულების" ვადის დასრულების შემდეგ „საზოგადოების" მოძრავი და უძრავი ქონება იქნება სრულ საექსპლუატაციო, კარგად მოვლილ და შეკეთებულ მდგომარეობაში.

ლ) გადაიხადოს „ხელშეკრულების" სანოტარო წესით დამოწმებისათვის, (სამეწარმეო) რეესტრში რეგისტრაციისა და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯები.

მ) დროულად აუნაზღაუროს „მესაკუთრეს" „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად

3.2 წინამდებარე "ხელშეკრულების" მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში "მმართველ პირს"-ს უფლება არა აქვს:

- გაასხვისოს, შეამციროს დააგირაოს ან სხვაგვარად დატვირთოს მმართვის უფლებით გადაცემული "ქონება".

- მიიღოს გადაწყვეტილება "საზოგადოებაში" სხვა პარტნიორის მიღების თაობაზე ნებისმიერი პროცენტული განაწილებით (მონაწილეობით).

3.3 წინამდებარე "ხელშეკრულების" მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში "მმართველ პირს"-ს "მესაკუთრესთან" შეთანხმების გარეშე არა აქვს უფლება,

- მიიღოს გადაწყვეტილება "საზოგადოების" ბალანსზე რიცხული ქონების განკარგვისა ან უფლებრივად დატვირთვის თაობაზე.

- მიიღოს გადაწყვეტილება "საზოგადოების" ქონების განკარგვაზე, სარგებლობის უფლებით გაცემაზე, ჩამოწერაზე ან სხვაგვარ დატვირთვაზე.

- მიიღოს გადაწყვეტილება "საზოგადოების" წესდების შეცვლასთან, მათ შორის საწესდებო კაპიტალის ცვლილებასთან.

- მიიღოს გადაწყვეტილება "საზოგადოების" შერწყმის, გაყოფის, გარდაქმნის, ლიკვიდაციის, გაკოტრების ან სხვაგვარ რეორგანიზაციის თაობაზე,

კ) მიიღოს გადაწყვეტილება იმ სესხებისა და კრედიტების აღებაზე, რომელთა უზრუნველყოფის საშუალება იქნება "საზოგადოების" უძრავი ქონება

3.4 "მმართველი პირი" მოქმედებს "საზოგადოების" წესდებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3.5 "მმართველი პირი" ვალდებულია ყველა ღონე იხმაროს რათა დაიცვას "მესაკუთრის" და "საზოგადოების" ინტერესები სასამართლო პროცესებში ქონებასთან მიმართებაში.
3.6 "მმართველი პირი" ვალდებულია "მესაკუთრის" წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ აცნობოს "მესაკუთრეს" და წარუდგინოს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია.
3.7 "მმართველ პირი" წინამდებარე "ხელშეკრულების" მოქმედების პერიოდში "ხელშეკრულებით" გათვალისწინებული შეზღუდვების გათვალისწინებით მართავს ქონებას.
3.8 "მმართველი პირი" ს.ს "საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების მართვისათვის ჰონორარის (მმართვის ჰონორარი) სახით იღებს საწარმოს ყოველწლიურ წმინდა მოგებას.

მუხლი 4. "მესაკუთრის" უფლება-მოვალეობანი.

4.1 "მესაკუთრე" ვალდებულია განუხრელად დაიცვას "ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებები
4.2. "მესაკუთრე" იძლევა იმის გარანტიას, რომ მისი შესაძლო რეორგანიზაცია თუ ლიკვიდაცია არ მოახდენს არავითარ ზეგავლენას წინამდებარე "ხელშეკრულებაზე" და რომ ეს არ გახდება წინამდებარე "ხელშეკრულებით" აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის საფუძველი და რომ რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში მის უფლებამონაცვლეზე გადავა ამ "ხელშეკრულებით" ნაკისრი ყველა ვალდებულება
4.3. "მესაკუთრეს" უფლება აქვს მოითხოვოს "მმართველი პირისაგან" "ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება.

4.4. წინამდებარე "ხელშეკრულების" 3.3. პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე "შესაკუთრემ" თანხმობა ან უარი უნდა გასცეს წერილობითი ფორმით, მოთხოვნის წარდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში. უარის თქმის შემთხვევაში უარი უნდა იყოს დასაბუთებული.
4.5 დროულად აუნაზღაუროს „მმართველ პირს" „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული ზიანი.

მუხლი 5. წარმომადგენლობა, დასტურები და გარანტიები

5.1. წინამდებარე „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად „მხარეები" იძლევიან გარანტიას, რომ ისინი აღჭურვილნი არიან ამ „ხელშეკრულების" დადებისა და შესრულების სათანადო უფლებამოსილებებით და მოქმედებენ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში.

5.2. „მხარეები" ადასტურებენ, რომ წინამდებარე „ხელშეკრულების" ხელმოწერის მომენტისათვის მათ არა აქვთ დადებული რაიმე გარიგება, ან არა აქვთ ნაკისრი რაიმე ვალდებულება და მათთვის არ არის ცნობილი რაიმე ისეთი გარემოება, რომელიც შეაჩერებს ან შეუძლებელს გახდის მხარეთა მიერ ამ „ხელშეკრულებით" განსაზღვრული პირობების შესრულებას.

5.3. „მხარეები" წინამდებარე „ხელშეკრულების" ხელმოწერით ადასტურებს, რომ მის მიერ შესრულებულია ან და დაკმაყოფილებულია ყველა ის მოთხოვნა, აგრეთვე მიღებულია ყველა სახის ნებართვა თუ თანხმობა, რაც აუცილებელია და უკავშირდება მის მიერ წინამდებარე „ხელშეკრულების" პირობების სრულად შესრულებას და მას აქვს სრული უფლება და შესაძლებლობა ხელი მოაწეროს წინამდებარე „ხელშეკრულებას".

5.4. „მხარეები" ადასტურებენ, რომ ხელმოწერილი „ხელშეკრულება" წარმოადგენს მათთვის ქმედითი იურიდიული ძალის მქონე და შესასრულებლად სავალდებულო დოკუმენტს.

5.5. „მხარეები" ადასტურებენ თავიანთ მზადყოფნას, რომ ისინი უპირობოდ, სრულად, კეთილსინდისიერად, ჯეროვნად და დათქმულ ვადებში შეასრულებენ ამ „ხელშეკრულებით" ნაკისრ ვალდებულებებსა და პირობებს.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. „მმართველი პირის" მიერ „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული პირობების დაუცველობის შემთხვევაში „მმართველი პირი" იღებს გაფრთხილებას წერილობითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და ეკისრება შესაბამისი პირგასამტეხლო. პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება სახელშეკრულებო პირობებიდან გამომდინარე. კერძოდ:

ა) მართვის უფლების გადაცემის საბოლოო საზღურის გადაუხდელი თანხის 0,1%-ი დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

ბ)საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1%- დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

გ) "ხელშეკრულებით" ნაკისრი სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობაზე პირგასამტეხლო წარმოადგენს საწესდებო კაპიტალის 10%

6.2. თუ "მმართველი პირი" არ იხდის პირგასამტეხლოს და არ ასრულებს "ხელშეკრულებით" ნაკისრ ვალდებულებებს "მესაკუთრეს" უფლება აქვს "ხელშეკრულება" მოშალოს ცალმხრივად, "მმართველ პირს" ჩამოერთმევა "ქონების" მართვის უფლება

მუხლი 7. დაუძლეველი ძალა მოვლენა

7.1. "ხელშეკრულების" მიზნებისათვის "დაუძლეველი ძალა და დაუძლეველი ძალის გარემოება" ნებისმიერ "მხარესთან" მიმართებაში ნიშნავს ისეთ ნებისმიერ შემთხვევას ან გარემოებას, რომელიც ასეთი "მხარის" კონტროლის ფარგლებს მიღმაა და რომელიც, მიუხედავად "მხარის" ყველა გონივრული მცდელობისა მაინც ვერ იქნა თავიდან აცილებული ან მოგვარებული და რომელიც გადაიზრდება ან გამოიწვევს ასეთი "მხარის" მიერ "ხელშეკრულებით" დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობას. "ხელშეკრულების" მიზნებისათვის "დაუძლეველი ძალას ან დაუძლეველი ძალის გარემოებას" მიეკუთვნება:

ა) ომი, სამხედრო მოქმედება, რეკვიზიცია, ბლოკადა, მობილიზაცია, ემბარგო;

ბ) აჯანყება, საგანგებო მდგომარეობა, ან სამოქალაქო ომი;

გ) ამბოხი, სახალხო დაუმორჩილებლობა, საზოგადოებრივი მღელვარება ან საბოტაჟი;

დ) ტერორისტული აქტები;

ზ) ელვა, ხანძარი, აფეთქება, ქარიშხალი, ქარი, წყალდიდობა, მოქცევითი ტალღა, მიწისძვრა, გრიგალი ან სხვა ბუნების დაუძლეველი ძალები და სხვა სტიქიური მოვლენები; და/ან

7.2. თითოეულ "მხარეს" ეპატიება მის მიერ "ხელშეკრულებით" აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულება და არ მოეთხოვება პასუხი თავისი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო "ხელშეკრულების" თანახმად, "დაუძლეველი ძალის გარემოებების" დროს ან მათგან გამომდინარე შედეგების გამო.
7.3. "დაუძლეველი ძალის" დროს "მხარემ", რომელზეც იმოქმედებს ასეთი გარემოება, რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეატყობინოს მეორე "მხარეს" ასეთი გარემოების შესახებ და მიაწოდოს ასეთი გარემოების არსებობის დამამტკიცებელი სათანადო საბუთი და მისი ხანგრძლივობის სავარაუდო ვადა და შედეგები. ამასთან ყველა "მხარემ" უნდა:
ა) გამოიყენოს მთელი ძალისხმევა რათა თავიდან აიცილონ, შეამცირონ ან შეასუსტონ "დაუძლეველი ძალის გარემოებით" გამოწვეული შედეგები;

ბ) გამოიყენონ მთელი ძალისხმევა რათა უზრუნველყონ "ხელშეკრულების" პირობების ჩვეულებრივ რეჟიმში შესრულება "დაუძლეველი ძალის ნებისმიერი გარემოების" შეწყვეტის შემდეგ და უნდა შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები, რამდენადაც ეს იქნება შესაძლებელი ორივე "მხარისათვის"; და

გ) თავისი შესაძლებლობის ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა იმისათვის, რომ შეამცირონ მეორე "მხარისადმი" ზარალის ოდენობა, რომელიც გამოწვეულია "დაუძლეველი ძალით".

მუხლი 8. შეტყობინებები

8.1. წინამდებარე "ხელშეკრულების" ვადის განმავლობაში "მხარეები" ამ "ხელშეკრულებიდან" გამომდინარე ნებისმიერ საკითხზე ერთმანეთში კორესპონდენციას (წერილებს) გაცვლიან შეტყობინებების მეშვეობით. შეტყობინების ფორმა წერილობითია, რომელიც "მხარეებს" გადაეცემა:
ა) პირადად, ან
ბ) ფაქსით ან\და სხვა ელექტროგადამცემი საშუალებებით, ან
გ) დაზღვეული ფოსტით ან კურიერის მეშვეობით.
8.2. შეტყობინებების შედგენის მეთოდი: შეტყობინება ხელმოწერილ უნდა იქნეს შესაბამისი „მხარის" უფლებამოსილი პირის მიერ, იგი მიმართული უნდა იყოს იმ „მხარის" უფლებამოსილი პირისადმი, რომელსაც ეს შეტყობინება უნდა გადაეცეს და მიწოდებული უნდა იქნეს „ხელშეკრულებაში" მითითებულ მისამართზე ან სხვა მისამართზე, რომელიც მოცემულმა „მხარემ" შეატყობინა მეორე „მხარეს" ამ „ხელშეკრულების" თანახმად.
8.3. შეტყობინებები „მხარეებს" მიეწოდებათ მათი რეგისტრირებული ოფისისა ან\და საქმიანობის ადგილის მიხედვით
8.4. შეტყობინება პირადად გადაცემულად ითვლება მისი მხოლოდ ხელიდან ხელში გადაცემისა და შეტყობინების მეორე ასლზე მიმღების ხელმოწერის შემთხვევაში, რაც ჩაითვლება მიწოდების დროდ.
8.5. შეტყობინება ფაქსით ან\და სხვა ელექტროგადამცემი საშუალებებით მიწოდებულად ჩაითვლება მსგავსი საშუალებების ტექნიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, რაც ჩაითვლება მიწოდების დროდ.
8.6. შეტყობინება დაზღვეული ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მიწოდებულად ჩაითვლება ფოსტის მოხელის ან კურიერის მიერ მისი (შეტყობინების) რომელიმე მხარისათვის ოფიციალურად ჩაბარების მომენტიდან, რაც მითითებული იქნება კურიერის ან ფოსტის მოხელის მიერ შეტყობინების გადაცემის შესახებ გაკეთებულ ჩანაწერში და დადასტურებული იქნება მიმღების მიერ, რაც ჩაითვლება მიწოდების დროდ.
8.7. შეტყობინება, რომელიც არ შეესაბამება ამ მუხლის მოთხოვნებს ჩაითვლება ბათილად და მას არ გააჩნია იურიდიული ძალა. შეტყობინება, რომელიც არ იყო მიწოდებული ამ მუხლის თანახმად არ ითვლება გაგზავნილად.

მუხლი 9 უფლებამონაცვლეები

„მხარეები" ადასტურებენ, რომ „ხელშეკრულების" დებულებები, ისევე როგორც ამ დებულებებიდან გამომდინარე მხარეთა უფლებები და მოვალეობები, წარმომადგენლობები, გარანტიები, დასტურები, სრულად და ცალსახად ვრცელდება მათ ნებისმიერ უფლებამონაცვლეზე

მუხლი 10 დავების გადაწყვეტა და მარეგულირებელი კანონმდებლობა

10.1 წინამდებარე "ხელშეკრულება" განიმარტება და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
10.2. "მხარეები" მიმართავენ მაქსიმალურ ძალისხმევას, რათა მათ შორის წამოჭრილი ყველა უთანხმოება გადაწყვიტონ მოლაპარაკებების გზით.
10.3. სადაო საკითხების მოლაპარაკებათა გზით გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში, წინამდებარე "ხელშეკრულებიდან" გამომდინარე, "მხარეთა" შორის წამოჭრილი დავა წყდება საქართველოს სასამართლოს მიერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.
10.4 "ხელშეკრულების" მოშლის სამართლებრივი და ქონებრივი შედეგები განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით.

მუხლი 11. სხვა დებულებანი

11.1. ამ "ხელშეკრულების" მუხლების სათაურები მხოლოდ ხელს უწყობს სახელშეკრულებო ვალდებულებათა განმარტებას და მათ გადამწყვეტი

112. "ხელშეკრულებაში" მოცემული ვადების გამოანგარიშება წარმოებს ადგილობრივი დროით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.
11.3. არც ერთი სახელშეკრულებო დებულება, ისევე როგორც ამ დებულებათა შესაძლო ორაზროვნება, არ უნდა განიმარტოს როგორც "მხარეთა" უფლებების შეზღუდვისაკენ ან მათი შეკვეცისაკენ მიმართული. "მხარეებზე" დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისას იგულისხმება, რომ თითოეული "მხარე" მოქმედებს კეთილსინდისიერი კომერსანტის ძალისხმევით.
11.4. "მხარეები" ადასტურებენ, რომ ამ "ხელშეკრულების" ხელმოწერისას ისინი მოქმედებდნენ გონივრული განსჯის შედეგად, წინასწარ გაეცნენ "ხელშეკრულების" დებულებებს, მათ სრულად ესმით ამ დებულებათა შინაარსი და ისინი სათანადოდ იქნა შესწავლილი მათ მიერ.
11.5 "ხელშეკრულების" რომელიმე დებულების იურიდიული ძალის არ მქონედ აღიარება ზემოქმედებას არ ახდენს "ხელშეკრულების" დანარჩენ დებულებათა ქმედითობაზე.
11.6 დასაშვებია "მხარეთა" დამატებითი შეთანხმებები. ასეთ შემთხვევაში შეთანხმება ფორმდება წერილობითი ფორმით.
11.7 ეს „ხელშეკრულება" ძალაში შედის მისი ხელმოწერის და ნოტარიალურად დამოწმების მომენტიდან.
11.8. წინამდებარე „ხელშეკრულება" შედგენილია 5 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, ქართულ ენაზე. ერთი ინახება ნოტარიუსთან, ორი "შესაკუთრესთან", და ორი "მმართველ პირთან".

მუხლი 12. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების	კავშირი „დოსტაქარი"
ქ.თბილისი,ჯანტურიას ქ.№12	ქ.საჩხერე, გომართელის ქ.№17
გიორგი ქუთათელაძე	დავით სერგეენკო

საქართველო

სანოტარო აქტი

რეესტრში რეგისტრაციის № 1.11963

ორიათას შვიდი წლის რვა ოქტომბერს მე- ქ.თბილისის ნოტარიუსს ციური ბერიძეს ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ.თბილისში ილია ჭავჭავაძის გამზირი №68-ში, მომმართეს ერთის მხრივ: ბატონმა **გიორგი ძუთათელაძემ**, დაბადებულმა 1980 წლის 23.09. თბილისში, მცხოვრებმა ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქ.№77ბ, ბინა № 34-ში, პირადობის მოწმობა ბ 0870914, პირადი № 01009010861, გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ვაკის სამსახურის მიერ 2006 წლის 10.03. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრის სახელით- თანახმად მინდობილობისა, გაცემული 2007 წლის 8 ოქტომბერს, № 21/761-ით. და მეორეს მხრივ ბატონმა **დავით სერგეენკომ**, დაბადებულმა 1963 წლის 25.09. თბილისში მცხოვრებმა ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის 4 მ.რ. კორპუსი№ 17, ბინა № 34-ში, პირადობის მოწმობა ბ 0516110, პირადი № 01009003618, გაცემული თბილისის ვაკე-საბურთალოს შსს III განყოფილების მიერ 2004 წლის 08.06. როგორც კავშირი "დოსტაქარი"-ს წარმომადგენლობით უფლებამოსილმა პირმა თანახმად ამონაწერისა სახელმწიფო რეესტრიდან გაცემული 2007 წლის 02.10.

მხარეებმა წარმოადგინეს მათ მიერ ტექნიკურად შესრულებული სს "საჩხერის რაიონული საავადმყოფო- პოლიკლინიკური გაერთიანების"- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100 პროცენტი წილის, 49 წლით მართვის უფლებით გადაცემის შესახებ კავშირი " დოსტაქარისათვის"-ხელშეკრულების ხუთი ეგზემპლიარი დანართებითურთ და გამოხატეს სურვილი დაამოწმონ აღნიშნული ხელშეკრულება სანოტარო წესით.

სს "საჩხერის რაიონული საავადმყოფო- პოლიკლინიკური გაერთიანების"-ს საწესდებო კაპიტალია 840540 ლარი.

მე შევამოწმე მათი პირადობა და დარწმუნდი, რომ ნამდვილად მათ მომმართეს. მხარეთა ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. უფლებამოსილება დადგენილია შესაბამისი დოკუმენტაციით.

ხელშეკრულებას თან ერთვის:

ა. 2007 წლის 8 ოქტომბრის მინდობილობა № 21/761 გაცემული საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მიერ.

ბ.საქართველოს მთავრობის 2007 წლის 29 აგვისტოს № 467 განკარგულება

გ.საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 20.09. № 1-1/1411 ბრძანება.

დ. ამონაწერი კავშირი"დასტაქარი"-ს სახელმწიფო რეესტრის ფორმულარიდან გაცემული 2007 წლის 02.10.

ე. კავშირი"დასტაქარი"-ს 2006 წლის 20.11. საერთო კრების ოქმი

ვ. საჩხერის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 26.11. დადგენილება.

ზ. აქციათა რეესტრის ჟურნალი და ამონაწერი აქციათა რეესტრიდან 2007 წლის 3.10. მდგომარეობით.

თ. სს "საჩხერის რაიონული საავადმყოფო- პოლიკლინიკური გაერთიანება"-ს ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, გაცემული 2007 წლის 3.10.

ი. კაუშირი "დოსტაქარი"-ს 2007 წლის 3.10. გამგეობის სხდომის ოქმი № 4.

კ 2003 წლის 21.01. დადგენილება კაუშირი"დოსტაქარი"-ს დაფუძნების შესახებ. და მოწმობა № 01191/01169 გაცემული 2006 წლის 7.06.

ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა, ხელშეკრულების ბუთ ეგზემპლიარს ხელი მოაწერეს ჩემი- ნოტარიუსის თანდასწრებით.

ხელშეკრულების ერთი ეგზემპლიარი დანართებითურთ, ინახება სანოტარო ბიუროს საარქივო მასალებში, დანარჩენი გადაეცათ მხარეებს ხელზე, მათ შორის ხელშეკრულების ერთი ეგზემპლიარი რეგისტრაციისათვის წარდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციაში, სამეწარმეო რეესტრში ცვლილების შეტანის მიზნით.

გადახდილია სანოტარო საზღაური-2184,12 ლარი დღგ-393,14 ლარი, სულ 2577,26ლარი. სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონის 22 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად.

თბილისის ნოტარიუსი- ცოტნე ბერიძე

შეკრულია და დანომრილია
"[illegible]" ფურცლად
ნოტარიუსი: